ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 254 (19695) ოთხშაბათი, 5 ნოემბერი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ზამთარი მკაცრად მოგვკიდებია

როგორ ვემზადებით ზამთრისათვის? ამ კითხვაზე პასუხი გასცა მასობრივმა საზოგადოებრივმა დათვალიერება-რეიდმა, რომელიც რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონში მოეწყო. მისი შედეგები განიხილეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში სათბობ-ენერგეტიკული რესურსების წარმოებისა და მოხმარების პროცესების მართვის საკითხთა გადაწყვეტის ოპერატიული ჯგუფის სხდომაზე. საქმის ვითარება სხდომის მონაწილეებს გააცნეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომისიის წარმომადგენლებმა.

სხდომაზე, კერძოდ, აღინიშნა, რომ მაზუთის მარაგი 413 ათას ტონას აღემატება — ეს შარშანდელზე 32 ათასი ტონით მეტია. გვარიანად გაისარჯნენ ენერგეტიკოსები: შეკეთდა მილიონ კილოვატსაათზე მეტი საერთო სიმძლავრის სადგურების ენერგობლოკები, ელექტროგადამცემი ხაზები, სატრანსფორმატორო ქვესადგურები, ენერგომოწყობილობა. შეუფერხებლად ხდება ბუნებრივი გაზის მიწოდება. მთის რაიონებში თოვლის ნამქერების გამო გზების გადაკეტვის შემთხვევისათვის წინასწარ შეიტანეს 350 ტონაზე მეტი გათხევადებული გაზი.

ამასთანავე, ითქვა სხდომაზე, ზამთრის პირობებში მუშაობისათვის მზადების ჯერ კიდევ ახასიათებს სერიოზული ნაკლოვანებები და ხარვეზები. მაგალითად, 26 საწარმოო ობიექტზე გამოვლინდა ელექტროენერგიის გადახარჯვა, რომელმაც მთლიანად 2,3 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა. დამრღვევთა შორის არიან ბათუმის მეთევზეობის კოლმეურნეობა „წითელი მეთევზე", ქუთაისის მოტობლოკების ქარხანა, გაგრის მაცივარი...

რესპუბლიკის ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში ზამთრისათვის თბოშეკვანძვა [illegible] ენერგეტიკულად ძალიან [illegible]. [illegible] ბალათთან, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს, [illegible] სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა კაპიტალური მშენებლობის მთავარმა სამმართველომ არ მიიღეს დროული ზომები იმისათვის, რომ ზოგიერთი მშენებარე ობიექტი უზრუნველეყოთ მუშახელით, — მასალით, მოწყობილობით, არ შეადგინეს სამუშაოთა შეთანხმებული გრაფიკი. ამის გამო ვერ ამოქმედდა ცენტრალური საქვაბე და მისი თბოქსელები ზესტაფონში, ორი საქვაბე სოხუმში. ჩიაურდება გამართვის სამუშაოები ბათუმში ლენინიძის ქუჩაზე მდებარე საქვაბეებში.

ზოგიერთი სამრეწველო საწარმოს ხელმძღვანელები, მათი პა-

(დასასრული მე-2 გვ.)

წელი იწურება, დავჭაგოთ ძალები!

როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის სამრეწველო პროდუქციის გამოშვებისა და მისი რეალიზაციის ცხრა თვის გეგმის შესრულებას თავი გაართვეს რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებების, საკავშირო დაქვემდებარების გაერთიანებების, საწარმოების აბსოლუტურმა უმეტესობამ, აგრეთვე ყველა ავტონომიურმა რესპუბლიკამ, ოლქმა, ქალაქ რუსთავის გარდა. გეგმის გადამეტებით დამზადდა 140,7 მილიონი მანეთის და რეალიზებულია 135,2 მილიონი მანეთის პროდუქცია.

ამასთან, მისანიშნებელია ის ფაქტიც, რომ ზეგეგმითი პროდუქციის 57 პროცენტი და მისი რეალიზაციის 84 პროცენტი სახაგრომრეწვის წილად მოდის. დამატებითი პროდუქციის გამოსაშვებად მნიშვნელოვანი რეზერვები გამონახეს აგრეთვე ხის დამუშავებელი და წვ-ტყის მრეწველობის სამინისტროებმა, „ჯეათურმაგანუშის", „საქპოლიმერკონტეინერის", „ელმავალმშენებლის" საწარმოო გაერთიანებებმა, „ელვას" სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებამ და ქუთაისის ელექტრომექანიკურმა ქარხანამ, ზოგიერთმა სხვა საწარმომ.

რესპუბლიკის სახაგრომრეწვის წილად მართალია ზეგეგმითი პროდუქციის დიდი რაოდენობა მოდის, მაგრამ სწორია ისიც, რომ ამ დარგშია ყველაზე მეტი ჩამორჩენილი საწარმო. სახაგრომრეწვის 13 საწარმომ ვერ შეასრულა სასაქონლო პროდუქციის გამოშვების, ხოლო 40-მა — მისი რეალიზაციის გეგმა. სახაგრომრეწვს ძირითადად უკან ეწევა მისი სოლიდური დარგი—„აბრეშუმი", რომლის 6-მა საწარმომ ვერ შეასრულა სასაქონლო პროდუქციის გამოშვების, ხოლო 31-მა — რეალიზაციის გეგმები.

რესპუბლიკის მრეწველობის მუშაობის შედეგებზე საკმაოდ უარყოფითად მოქმედებს საკავშირო დაქვემდებარების მთელ რიგ საწარმოთა გაუმართავი მუშაობა. მათ შორის, როგორც ადრე, ისე ახლაც „აზრეტის" საწარმოო გაერთიანება „პირველობს". აქ პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის ცხრა თვის გეგმები შესაბამისად 81,4 პროცენტითა და 82,3 პროცენტით შესრულდა. სახელმწიფოს დაკლდა 14,1 მილიონი მანეთის ნაწარმი.

„ეროგოჟკოს" საწარმოო გაერთიანებამ შეასრულა ცხრა თვის დავალება, მაგრამ ეს მოხდა გეგმების შემცირების ხარჯზე. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი დაწვრილებით აანალიზებს ზემოხსენებულ გაერთიანებებში შექმნილ მდგომარეობას და აყენებს კონკრეტულ წინადადებებს, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს მდგომარეობის გაჯანსაღებას.

მთელი რიგი ტექნიკური და ორგანიზაციული ხასიათის საკითხების მოუგვარებლობით ფოთის ელექტრომანქანათა გამაძლიერებელების ქარხანის კოლექტივიც ჩამორჩენილთა რიგებშია. ამის შესახებ გაზეთში „კომუნისტმა" მიმდინარე წლის 10 სექტემბერს გამოაქვეყნა კრიტიკული მასალა. ოქტომბრის დამდეგს მიეცა პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პასუხი, რომელშიც ნათქვამია, რომ თანამდებობიდან განთავისუფლებული არიან ზემოხსენებული ქარხნის დირექტორი და მთავარი ინჟინერი. მიღებულია ზომები საწარმოს კვალიფიციური ინჟინერ-ტექნიკური პერსონალითა და მუშებით დაკომპლექტებისათვის, ოპერატიულად წყდება ქარხნის ტექნიკური განახლების საკითხი, უმჯობესდება მშრომელთა მდგომარეობა. დაისახა დადებითი ტენდენციები და იქმნება ყველა პირობა იმისათვის, რომ შესრულდეს როგორც მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალის, ისე მომავალი და შემდგომი წლების გეგმები.

ფოთის ელექტრომექანიკური გამაძლიერებლების ქარხანასთან ერთად ჩვენ **რუსთავის ფოლად-თუჯ სამსხმელო ქარხანაც გაპაკრიტიკეთ,** როგორც ჩამორჩენილი. კარგი იქნება, თუ აქაც, ისევე როგორც ფოთში, განსორციელდება ოპერატიული ღონისძიებები და მიმდინარე წლის დამლევისათვის მთლიანად თუ არა, სანახევროდ მაინც დაედგმებოდა თავი საქმეს.

„**საძთვეზმრეწვის**" საწარმოო გაერთიანებამ მიმდინარე წლის მესამე კვარტალში და, კერძოდ, სექტემბერში, შარშანდელთან შედარებით გააუჯობესა საქმის მსვლელობა, მაგრამ საერთო მდგომარეობა კვლავ მძიმეა. ადრინდელი ჩამორჩენის დაძლევა ვერ მოხერხდა. სახელმწიფოს დაკლდა 5.5 მილიონი მანეთის პროდუქცია.

მეოთხე კვარტალისა და მთლიანად მიმდინარე წლის ამოცანათა წარმატებული გადაწყვეტისათვის საჭიროა სამინისტროებმა, უწყებებმა, გაერთიანებებმა, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა ყველაფერი იღონონ საწარმოო სიმძლავრეების მეტად დატვირთვისათვის, ნედლეულის, მასალებისა და შრომითი პოტენციალის რაციონალური გამოყენებისათვის, საგეგმო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, საწარმოო რეზერვების გამოვლენისათვის.

აუცილებელია საგეგმო დავალებების თანაბარი განაწილება, არ უნდა დაეუშვათ, რომ პროდუქციის გამოშვებასთან დაკავშირებული სიმძიმე ძირითადად წლის უკანასკნელ თვეზე გადაიტანონ. ამას, უეჭნარეს ყოვლისა, რუსთავის „აზოტის" საწარმოო გაერთიანების, **ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის, სოხუმის „ორგტექნიკის" საწარმოო გაერთიანებისა** და მთელ რიგ სხვა საწარმოთა საყურადღებოდ ვლაპარაკობთ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საწარმოებისა და გაერთიანებების ელექტროენერგიით მომარაგებას. „საქმთავარენერგო" მოვალეა უზრუნველყოს ელექტროსადგურების საიმედო მზადყოფნა ზამთრის პირობებში მუშაობისათვის, მაქსიმალურად დატვირთოს მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურები, განსაკუთრებით პიკის საათებში.

წლის დამლევამდე დარჩენილ პერიოდში ისეთი დიდი საწარმოები, როგორიც რუსთავის „აზოტისა" და „ქიმბოჭკოს" საწარმოო გაერთიანებებია, ჩამორჩენას ვერ დაძლევენ, მაგრამ მონდომებისა და ორგანიზებულობის შემთხვევაში შესაძლებელია მდგომარეობის შესაჭნევი შემსუბუქება, მოსალოდნელზე მეტი პროდუქციის გამოშვება. ამისათვის საჭიროა დანადგართა უკეთ გამოყენება, აღსადგენი და სარემონტო სამუშაოების დაჩქარებული დამთავრება, მოწყობილობების მოცდენისა და სამუშაო დროის დანაკარგების შემცირება.

რაც შეეხება მანქანათმშენებელ კომპლექსს, აქ საჭიროა უფრო სწრაფი ტემპით წარმართოს რეკონსტრუქცია და ტექნიკური განახლება, ამაღლდეს დამზადებულ მანქანათა ტექნიკური დონე. დადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ პროდუქციის რეალიზაციის გეგმების შესრულებისათვის. ყველა მანქანათმშენებელმა ქარხანამ უნდა მოამზადოს ნიადაგი ორ და სამეცნიან სამუშაოზე, ხოლო ხელსაწყოთმშენებელმა საწარმოებმა — მთლიან სამეურნეო ანგარიშზე გადასვლისათვის.

მსუბუქი, კვებისა და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებს გადასაჭრელი აქვთ პროდუქციის ასორტიმენტთან, სტრუქტურასა და ხარისხთან დაკავშირებული პრობლემები. მათ უნდა შეძლონ დააკმაყოფილონ მოსახლეობის მოთხოვნების სწრაფი ცვალებადობა, გარდაქმნან მუშაობა მეურნეობრიობის ახალ პირობებში მუშაობისათვის.

დაჩქარების სტრატეგიის, გარდაქმნის ერთ-ერთი უმთავრესი გზაა შრომის ნაყოფიერების ზრდა. ეს წითელ ზოლად გასდევს სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებს. ამ მხრივ რესპუბლიკის მრეწველობამ მიმდინარე წლის ცხრა თვეში სოლიდური ნაბიჯი გადადგა — იგი გადიდდა 3,8 პროცენტით, რაც მნიშვნელოვნად სჭარბობს გეგმით გათვალისწინებულს. ამასთან შრავალმა გაერთიანებამ და საწარმომ შეამცირა ამ მიმართულებით მიღწეული დონე. მათმა რიცხვმა ცხრა თვეში 290 შეადგინა. განსაკუთრებით ბევრია ასეთი საწარმო პროდუქტების, მსუბუქი მრეწველობის, სახაგრომრეწვის საწარმოებში. ისიც აღსანიშნავია, რომ ბათუმის ნავთობგადასამუშავებელ და ქუთაისის მობილოკების ქარხნებში, „საქნავთობის", „ჯეათურმაგანუშის", ელექტროშესადუღებელი მოწყობილობის საწარმოო გაერთიანებებში, მადნეულის სამთო-მამდიდრებელ კომბინატში მრომის ნაყოფიერების შემცირება გეგმით იყო გათვალისწინებული. მრომის ნაყოფიერების ზრდას, სხვა ფაქტორებთან ერთად, ხელს უშლის დასაშვებზე მეტი მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი. ასეთ საწარმოთა რაოდენობა რესპუბლიკის მრეწველობაში ოდდაცხრაა. აყოვნებს ამ მაჩვენებლის გადიდებას აგრეთვე ნაკლოვანებები წარმოებისა და შრომის ორგანიზაციაში.

რაციონალურად გამოვიყენოთ მასალები, საწვავი, ელექტროენერგია. ყველაფერი ვიღონოთ ერთეულ პროდუქციაზე რესურსების დანახარჯების შემცირებისათვის, რენტაბელობის, ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის გადიდებისათვის, წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. ყველამ დავუჭიროთ მხარი უკვე ფართოდ გავრცელებულ ინიციატივას — შევასრულოთ მეთორმეტე ხუთწლეულის ორი წლის გეგმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისათვის.

მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა ხ. ფლორაკისს

8 ნოემბერს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა მ. ს. გორბაჩოვისა და საბერძნეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ხ. ფლორაკისის შეხვედრა.

მ. ს. გორბაჩოვი მიესალმა ხარილაოს ფლორაკისსა და მის ამხანაგებს — გმირული წარსულის მქონე პარტიის წარმომადგენლებს, ერთგულ მეგობრებსა და თანამებრძოლებს, რომლებიც საერთო იდეალებისათვის ბრძოლაში ყოველთვის ერთმანეთის მხარდამხარ არიან ყოველგვარი პოლიტიკური ამინდის პირობებში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბერძნეთის კომუნისტური პარტიის ძმობას ღრმად აქვს ფესვები გადგმული ორივე ხალხის ტრადიციებში, ეყრდნობა იდეურ ერთიანობას, მსოფლიო განვითარების საერთო შეფასებას. საბერძნეთის კომპარტიის სახით ბერძენ ხალხს, საბერძნეთს, მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობას ჰყავთ გავლენიანი, ეროვნული, პატრიოტული და ინტერნაციონალური ძალა, რომელმაც მოიპოვა ავტორიტეტი თავისი ხალხის ინტერესებისათვის თავდადებული ბრძოლით, ქვეყნის აწმყოსა და მომავლისათვის, დიდი პასუხისმგებლობით.

დაადასტურეს, რომ მხარეებს აქვთ სრული ურთიერთგაგება და ერთიანი შეხედულებანი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობის ყველა რიული პრობლემატიკის გამო — რეიკიავიკის შედეგების გამო, ბირთვული საფრთხის წინააღმდეგ, საერთაშორისო და ევროპის უშშროებისათვის, ხმელთაშუაზღვისპირეთში ვითარების ნორმალიზაციისათვის, ბალკანეთში უბირთვო ზონის შექმნისათვის, კვიპროსის საკითხის სამართლიანი გადაწყვეტისათვის, მსოფლიო ეკონომიკაში მდგომარეობისა და კრიზისული მოვლენების შესახებ, ნეოგლობალიზმის იმპერიული პოლიტიკის წინააღმდეგ და სხვ.

თანამოსაუბრეებმა განაცხადეს, რომ ესმით პოლიტიკა, რომელსაც სრულიად საბერძნეთის სოციალისტური მოძრაობის მთავრობა ანორიეელებს ბირთვული განიარაღების, ევროპაში დაძაბულობის შენელების საკითხებსა და სხვა საკითხებში, მისი მისწრაფება დაიცვას დამოუკიდებელი კურსი, რომელიც შეესაბამება საბერძნეთის ეროვნულ ინტერესებს. ხაზი გაუსვეს მის მეცადინეობას, „დელის ექვსეულის" ფარგლებში რომ ხორციელდება.

მ. ს. გორბაჩოვმა ყოველმხრივ გააანალიზა საბჭოთა საზოგადოებაში დაწყებული ღრმა გარდაქმნა, გააშუქა ის, რაც უკვე ამ გზაზეა მიღწეული, დაახასიათა მიღებული გადაწყვეტილებანი, რომელთა მიზანია საზოგადოების ყველა მხარის განახლება სოციალისტურ საფუძველზე, შეეხო სიძნელეებსა და უკვე შეძენილ გამოცდილებას ამ რევოლუციურ საქმეში. საუბრის მონაწილეებმა სათანადო შეფასება მისცეს იმპერიალიზმის სტრატეგიას, რომელიც იმის წინაშე შიშით, რომ სოციალიზმი გამოავლენს მთელ თავის უდიდეს პოტენციალს, აგრეთვე ამ პროცესის საერთაშორისო შედეგების წინაშე შიშით, ცდილობს ყოველნაირად შეუშალოს ხელი მას, ჩაფუშოს იგი.

ხ. ფლორაკისმა თავისი პარტიის სახელით დიდი შეფასება მისცა აპრილის პლენუმის, XXVII ყრილობის იდეებისა და გადაწყვეტილებების რეალიზაციისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმიანობის მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობას, თავის მხრივ, მან ღრმად გააანალიზა სიტუაცია საბერძნეთში, მშრომელთა ინტერესებისათვის, საბერძნეთის ეროვნული ინტერესებისათვის, მისი საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდისათვის კომუნისტთა ბრძოლის შესაძლებლობები და პერსპექტივები.

განიხილეს საკითხი იმის შესახებ, თუ რა როლი და პასუხისმგებლობა ეკისრება საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობას თანამედროვე მსოფლიო მდგომარეობისა და მომავლისათვის, რა შესაძლებლობანია იმისა, რომ გაიზარდოს მისი შეკავშირება თანასწორუფლებიან და დამოუკიდებელ მომძღვარ პარტიებს შორის აზრთა ცოცხალი, ამხანაგური გაზიარების გზით.

მ. ს. გორბაჩოვმა ხ. ფლორაკისს სთხოვა ბერძენ ხალხს გადასცეს, რომ საბჭოთა ადამიანები მას ეძიებიან დიდი სიმპათიით, წარმატებანი უსურვა ბერძენ კომუნისტებს. ხ. ფლორაკისმა გამოთქვა რწმენა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მიაღწევს დასახულ მიზნებს, და განაცხადა, რომ ბერძენი კომუნისტები ყოველთვის მხარს დაუჭერენ მის ძნელ და მთელი კაცობრიობისათვის ესოდენ რთულ მუშაობას.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. თ. დობრინინი, საბერძნეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. კალუდისი, საბერძნეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი ო. კოლოზოფი.

(საკდესი).

სურათზე: საუბრის დროს.

საკდეს-საძინფორმის ტელეფოტო.

შეხვედრა კრემლში

4 ნოემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა სამხრეთ აფრიკის აფრიკელთა ეროვნული კონგრესის პრეზიდენტს ო. ტამბოს, რომელიც სსრ კავშირში ჩამოუფლია აფრიკელთა ეროვნული კონგრესის დელეგაციას.

მიესალმა რა აფრიკელთა ეროვნული კონგრესის პრეზიდენტს, მ. ს. გორბაჩოვმა სოლიდარობა გამოუცხადა სამხრეთაფრიკელ პატრიოტთა ვაჟკაცურ ბრძოლას აპარტეიდის არაადამიანური სისტემის წინააღმდეგ, თქვა, რომ საბჭოთა კავშირი აფრიკელთა ეროვნულ კონგრესს მიიჩნევენ სამხრეთ აფრიკის ხალხის ჭეშმარიტი ინტერესების გამომხატველად, ამ ქვეყანაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღიარებულ ხელმძღვანელად.

აფრიკელთა ეროვნული კონგრესის პრეზიდენტმა გულითადი მადლობა უძღვნა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს სამხრეთ აფრიკის მებრძოლი ხალხის უცვლელი მხარდაჭერისათვის. მან ილაპარაკა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ, რომელსაც ახასიათებს აპარტეიდის რეჟიმის ღრმა კრიზისი. ო. ტამბომ აღნიშნა მასობრივი ანტირასისტული გამოსვლების უმაგალითო აღმავლობა და ხაზი გაუსვა, რომ სამხრეთ აფრიკის პატრიოტული ძალები აფრიკელთა ეროვნული კონგრესის მეთაურობით მიზნად ისახავენ შექმნან ერთიანი დემოკრატიული სახელმწიფო, რომელშიც არ გაჩაჩანებენ რასიზმს და გარანტირებული იქნება ყველა მოქალაქის თანასწორი უფლებები, მიუხედავად კანის ფერისა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა განაცხადა, რომ ასეთი პოზიციას საბჭოთა კავშირში სრული გაგებით ეკიდებიან.

ო. ტამბო მიესალმა სსრ კავშირის ძალისხმევას საერთაშორისო ვითარების რადიკალური გაჯანსაღებისათვის და მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა ხელმძღვანელობის პასუხისმგებლურ და მსოფლიო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე პრაქტიკულად მიღწეულ თანხმობას, სამწუხაროდ, ვერ შეესახით ხოცი მხარეებისათვის სავალდებულო მორიგებებად იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ჯიუტად ესწრაფვის „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის" მილიტარისტული პროგრამის რეალიზაციას და ამის შედეგად ახალ სახეობათა გამალებული შეიარაღების გაჩაღებას.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, იგი „ვარსკვლავეთის ომების" გეგმებს უპირისპირებს კონსტრუქციულ ალტერნატივას — ფართო მასშტაბის თანამშრომლობის დამყარებას კოსმოსის მშვიდობიან კვლევასა დაათვისებაში.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა არ გამოიჩინა არც საიმისო მზადყოფნა, რომ გაგვემართა მოლაპარაკება ბირთვული გამოცდის შეწყვეტისა და აკრძალვის საკითხზე, რამაც ასევე გამოიწვია მიუმხრობელი ქვეყნების უმეტესი დონის კონფერენციის შეშფოთება.

მე უკვე არაერთგზის მითქვამს: ამ საკითხისადმი დამოკიდებულება დღეს გახდა ყველაზე სარწმუნო მაჩვენებელი იმისა, თუ რამდენად სერიოზულად ეკიდება უდიდეს ბირთვულ სახელმწიფოთაგან თითოეული განიარაღებას და საერთაშორისო უშიშროებას. და საერთოდ მშვიდობის საქმეს. ამერიკის შეერთებული შტატების უარს, შეუერთდეს მორატორიუმს, ჩვენ — და არა მარტო ჩვენ — სრულიად საფუძვლიანად მივიჩნევთ მისწრაფებად იღვაწონ სამხედრო უპირატესობის მოსაპოვებლად, განაგრძონ გამალებული შეიარაღება, გაავრცელონ იგი ახალ სფეროებზე, განსაკუთრებით კოსმოსზე.

რაც შეეხება „ჰარარეს მოწოდებაში" აღძრულ საკითხს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ახალი უმაღლესი დონის შეხვედრის თაობაზე, ჩვენ კვლავინდებურად მოსახერხენი ვართ ასეთი შეხვედრისა, ოღონდ იმ უცილობელი გაგებით, რომ იგი უნდა იყოს შედეგიანი და ითვალისწინებდეს იმ ობიექტური ფაქტს, რომ რეიკიავიკმა შექმნა თვისებრივად ახალი საერთაშორისო სიტუაცია, რომ ბირთვული განიარაღების პრობლემა ახალ, უფრო მაღალ მიჯნაზეა წამოწეული და მისგან უკუსვლა მიუღებელი და დაუშვებელია.

ჩვენ ჯეროვანი ყურადღებით მოვეკიდეთ ჰარარეს კონფერენციის მონაწილეთა განცხადებას, რომ მზად არიან კვლავაც შეასრულონ აქტიური როლი საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის ამოცანის გადაწყვეტაში. მინდა აღვნიშვნათ თქვენ, ამხანაგო თავმჯდომარეო, რომ საბჭოთა კავშირს თავის მხრივ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კვლავაც აქტიურად ითანამშრომლოს და იმოქმედოს მიუმხრობელ ქვეყნებთან — თანამედროვეობის ავტორიტეტულ პროგრესულ ძალასთან ერთად — იმ მწვავე პრობლემების გადასაჭრელად, რომლებიც დღეს კაცობრიობის წინაშე დგას.

ჩვენ მივგაჩნია, რომ საჭიროა ყველაფერი ვიღონოთ, რათა ხელიდან არ გავუშვათ ომისა და მშვიდობის პრობლემების გადაჭრის შანსი, რომელიც მთელი კაცობრიობის ინტერესებს შეესაბამება.

გულწრფელი პატივისცემით

მ. გორბაჩოვი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის პასუხი „ჰარარეს მოწოდებაზე"

მიუმხრობლობის მოძრაობის თავმჯდომარეს, ზიმბაბვეს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს რობერტ გაბრიელ მუგაბეს

პატივცემულო ამხანაგო მუგაბე!

მე ყურადღებით შევისწავლე „ჰარარეს მოწოდება", რომელიც 1986 წლის 8 ოქტომბერს გადმოცა თქვენმა სპეციალურმა წარმომადგენელმა, ზიმბაბვეს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა უ. მანგვენდმ.

ამ დოკუმენტში გამოთქმულია საფუძვლიანი შეშფოთება გამალებული ბირთვული შეიარაღების გამო. შეგვნება, რომ უაღრესად საჭიროა სასწრაფოდ ვიმოქმედოთ დედამიწის ცივილიზაციის ხსნისათვის. ჩვენ კარგად გვესმის მიუმხრობლობის მოძრაობის წევრი ქვეყნების — პლანეტის მოსახლეობის დიდი ნაწილის წარმომადგენლების — სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების ეს სერიოზული შეშფოთება.

ჩვენ დიდად ვაფასებთ მიუმხრობელი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების ჰარარეს VIII კონფერენციის პოზიციას ბირთვულ საშიშროებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ისევე როგორც მიუმხრობლობის მოძრაობის უნიკალურ წვლილს საერთაშორისო განვითარებაში, დარწმუნებული ვართ, რომ ეს წვლილი განუხრელად გაიზრდება.

როგორც თქვენ კარგად მოგეხსენებათ, თავისი პრინციპული საგარეო-პოლიტიკური კურსისა და სკკპ XXVII ყრილობის დებულებების შესაბამისად საბჭოთა კავშირმა უკანასკნელ პერიოდში — ცალმხრივი წესით და თავის მოკავშირეებთან ერთად — წამოაყენა მშვიდობისმოყვარული ინიციატივების მთელი კომპლექსი, რომელიც განიარაღების პრობლემის პრაქტიკულად ყველა ასპექტს მოიცავს.

მსოფლიო მოვლენების განვითარება, უწინარესად „ი ამერიკის აღმინისტრაციის პოლიტიკის სამი-ში შედეგები, მოითხოვდა — და ეს დადასტურდა ჰარარეს კონფერენციაზე, სადაც ასამდე მიუმხრობელი სახელმწიფოს ლიდერები შეიკრიბნენ, — რომ გამოგვეჩინა პოლიტიკური ნება და გაგვეხორციელებინა მტკიცე ღონისძიებანი ბირთვული განიარაღების ასალგამავად.

საბჭოთა ხელმძღვანელობამ, რომელსაც კარგად ესმოდა თავისი პასუხისმგებლობა მსოფლიოს და საერთაშორისო უშიშროების სვე-ბედისათვის, გადაწყვიტა დაუყოვნებლივ წარემართა საქმე ამერიკის შეერთებულ შტატებთან ბირთვული საფრთხე და უფრო რეალური გახდება ცივილიზაციის დაღუპვის შესაძლებლობა. ჩვენ დიდად გვაფიქრებს ეს სასიკვდილო საფრთხე და გვინდა, მთელი კაცობრიობის სასიკეთოდ იგი აღიკვეთოს.

ზუსტად ოცდაოთხი წლის წინათ მიუმხრობელი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებმა თავიანთ პირველ უმაღლესი დონის ბელგრადის კონფერენციაზე საჭიროდ ცნეს მიეთმართათ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისათვის მოწოდებით დაეწყოთ მოლაპარაკება იმ მიზნით, რომ აღეკვეთათ მსოფლიო ომის საფრთხე და შესაძლებლობა მიეცათ კაცობრიობისათვის დასდგომოდა მშვიდობისაკენ მიმავალ გზას.

გავიდა ორ-ნახევარი ათწლეული, და საერთაშორისო ვითარების გაუარესებამ ეკონომიკის, პოლიტიკისა და უშიშროების თვალსაზრისით კაცობრიობა ჩააყენა არა ნაკლებ და, შესაძლოა, უფრო სერიოზულ პირობებში, რომლებმაც 1961 წელს აიძულა მიუმხრობელი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურები გაეერთიანებინათ ძალისხმევა.

ომის შესაძლებლობა, რომელიც გაიზარდა ახალ-ახალი საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების გაჩენის, ლაზერული ტექნოლოგიის, სამხედრო ინფორმატიკისა და კიბერნეტიკის განვითარების შედეგად, წინანდელზე გაცილებით უფრო საშიშს ხდის პოლიტიკურ და სტრატეგიულ სიტუაციას, რომელშიც ყველა ქვეყანა ისწრაფვის დაიმკვიდროს არსებობა დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოდ.

ამის გამო, ვხელმძღვანელობთ რა ომის თავიდან აცილებისა და მშვიდობის, დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობიანი თანაარსებობის დამკვიდრების განუხრელი მისწრაფებით, ჩვენ საჭიროდ ვცანით მოგმართოთ თქვენ, თქვენო აღმატებულებავ, ამ მოწოდებული მომძღვარ პარტიებს შორის აზრთა ცოცხალი, ამხანაგური გაზიარების გზით.

მ ს. გორბაჩოვმა ხ. ფლორაკისს სთხოვა ბერძენ ხალხს გადასცეს, რომ საბჭოთა ადამიანები მას ეძიებიან დიდი სიმპათიით, წარმატებანი უსურვა ბერძენ კომუნისტებს. ხ. ფლორაკისმა გამოთქვა რწმენა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მიაღწევს დასახულ მიზნებს, და განაცხადა, რომ ბერძენი კომუნისტები ყოველთვის მხარს დაუჭერენ მის ძნელ და მთელი კაცობრიობისათვის ესოდენ რთულ მუშაობას.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. თ. დობრინინი, საბერძნეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. კალუდისი, საბერძნეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი ო. კოლოზოფი.

(საკდესი).

მიუმხრობელი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების VIII კონფერენცია

ჰარარე, 1986 წლის აგვისტო-სექტემბერი

ჰარარეს მოწოდება

ჩვენ, მიუმხრობელი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებს, რომლებიც ზიმბაბვეს დედაქალაქ ჰარარეში შევიკრიბეთ 1986 წლის 1-6 სექტემბერს, გვინდა ჩვენი ქვეყნების მთავრობათა და ხალხთა სახელით გაცნობოთ, რომ დიდად შეშფოთებული და შეწუხებული ვართ გამალებული ბირთვული შეიარაღების დაჩქარების გამო. არასდროს არ ყოფილა კაცობრიობა ასე ახლოს მისული თვითმოსპობის პირას. მართლაც, დღეს ჩვენ წინაშე დგება არა მშვიდობისა და ომის, არამედ ყოფნა-არყოფნის არჩევანი. და ეს გარემოება მშვიდობისა და ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის ბრძოლას ჩვენი დროის მთავარ ამოცანად აყენებს.

თუ არაფერი ვიღონეთ და ასეთი მდგომარეობა უცვლელად დავტოვეთ, მაშინ გაიზრდება ბირთვული განადგურების საფრთხე და უფრო რეალური გახდება ცივილიზაციის დაღუპვის შესაძლებლობა. ჩვენ დიდად გვაფიქრებს ეს სასიკვდილო საფრთხე და გვინდა, მთელი კაცობრიობის სასიკეთოდ იგი აღიკვეთოს.

ზუსტად ოცდაოთხი წლის წინათ მიუმხრობელი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებმა თავიანთ პირველ უმაღლესი დონის ბელგრადის კონფერენციაზე საჭიროდ ცნეს მიეთმართათ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირ

მშენებლთა გადაუდებელი ამოცანა

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება

დავამკვიდროთ წარმატებანი, აღმოვფხვრათ ნაკლოვანებები

კაპიტალური მშენებლობა მუდამ იყო პარტიის განსაკუთრებული ყურადღებისა და მუდმივი მზრუნველობის სფეროში. მისი განვითარების დონეზე გადამწყვეტწილად არის დამოკიდებული ეკონომიკური პოტენციალის ზრდა, მთელი სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი და პროპორციული განვითარების უზრუნველყოფა, ხოლო საბოლოო ანგარიშით — საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება. კაპიტალურ მშენებლობას, რომელიც თავისი რესურსტევადობით გამოირჩევა, უდიდესი სახსრები ხმარდება — ყოველწლიურად აქ ქვეყნის ეროვნული შემოსავლის დაახლოებით მეოთხედს ვაბანდებთ.

პარტიისა და მთავრობის მოთხოვნების, დარგის წინაშე დასახული ამოცანების შესაბამისად უკანასკნელი წლების მანძილზე იგი საქართველოს სს რესპუბლიკაშიც საკმაოდ სწრაფი ტემპით ვითარდებოდა. მაგალითად, ამ ბოლო ათი წლის განმავლობაში კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტების ათვისების მოცულობა 40 პროცენტით გაიზარდა. საექსპლოატაციოდ გადაეცა ისეთი დიდმნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ობიექტები, როგორიც არის ენგურჰესი, ინგალჰესი, ვარციხჰესების კასკადის სამი საფეხური, ენგურჰეს-ცაგეროპოლის სახრაიელსადგური 500-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ბაზი, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის № 2 ბრძმედი და აგლოფაბრიკა, ზეტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის, საწარმოო გაერთიანებების — „ჭუთაისის საავტომობილო ქარხნის“, „ჭიათურმანგანუმის“, „ელმავალმშენებელი“, „აზოტის“, „ქიმმოჭკოს“, თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მთელი რიგი სიმძლავრენი. მნიშვნელოვნად გაიზარდა საექსპლოატაციოდ გადაცემული საცხოვრებელი სახლების, სასოფლო-სამეურნეო, სოციალური, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მოცულობა.

ეს მონაცემები დაასახელეს რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე, რომელიც, როგორც უკვე ვიუწყებოდით, 1 ნოემბერს გაიმართა.

კრებამ აღნიშნა მიღწეული შედეგები და ამასთანავე დეტალურად გააანალიზა მთელ სამშენებლო კომპლექსში მუშაობის ჩამორჩენის მიზეზები, პირუთვნელად და პრინციპულად ილაპარაკა დარგის ნაკლოვანებებსა და ხარვეზებზე, ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა განხორციელდეს უმკაცრესი ღონისძიებანი წუნისმკეთებლების, თვალისმაბეზეობის, შრომის, ტექნოლოგიური, საგეგმო და საფინანსო დისციპლინის დამრღვევების, მატერიალური რესურსების დამტაცებლების წინააღმდეგ.

კრების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ნელა მიმდინარეობს მშენებლობის „ვიწრო“ ადგილების აღმოფხვრა, უშვებენ მატერიალურ-ტექნიკური და საფინანსო რესურსების დაქსაქსვას მრავალ ობიექტზე, არ აღმოფხვრილა დაუმთავრებელი მშენებლობის ზონრმატიული მოცულობა.

მშენებელთა მუშაობის მწვავე, მაგრამ ობიექტური კრიტიკა, რომელიც პარტიის XXVII ყრილობაზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმზე გაისმა, სრულად ეხება რესპუბლიკის მშენებლებსაც — ჩვენ დიდანს ვუნდებთ მშენებლობას, ვაშენებთ არაეკონომიურად, არაეფექტიანად და მდარე ხარისხისას.

ეს სიტყვები კრების მონაწილეებმა დაადასტურეს ციფრებით, მაგალითებით. რესპუბლიკაში ყოველწლიურად აღმოჩენდებეი რჩება მშენებლობადასამთავრებელი დაგეგმილი ობიექტების დაახლოებით 15 პროცენტი. საწარმოო ობიექტების მშენებლობის საშუალო ხანგრძლივობა 1,5-2-ჯერ სჭარბობს ნორმატიულს. მცირეა შრომის ნაყოფიერება.

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს სამუშაოთა ხარისხი. შემოწმებამ, რომელიც საქართველოს სსრ სახმშენის სახმშენისეიქციამ მოაწყო, ცხადყო, რომ შემოწმებული ობიექტების 70 პროცენტში ირღვევა სამშენებლო ნორმები და წესები. მარტო რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს, თბილისქალაქმშენისა და ამიერკავკასიის ტრანსმშენის №3, № 4, № 6, № 9, № 24 ტრესტების ობიექტებზე 1985-1986 წლებში მდარე ხარისხით შესრულებული სამუშაოების გამო გამოყენებულია ეკონომიკური სანქციები 90 ათას მანეთზე მეტი ოდენობით. ამავე მიზეზით შეჩერებულია 28 ობიექტის მშენებლობა თბილისში, სოხუმში, ბათუმში, ფოთში, რუსთავში. დაბალი სამოსახლო-საზოგადოებრივი ნაგებობების, ინჟინრული ნაგებობების, ტრანსპორტის, ელექტროენერგეტიკის, ელექტრული კავშირგაბმულობის, ნავთობგადამამუშავებელი, ნავთობგადამამამუშავებელ-ქიმიური, ნავთობგადამამამუშავებელ-ნავთობქიმიური, ნავთობქიმიური, ნავთობგადამამამუშავებელ-ნავთობქიმიური, ნავთობგადამამამუშავებელ-ნავთობქიმიური, ნავთობგადამამამუშავებელ-

ჰარარეს მოწოდება

(დასასრული)

ბით, რათა თქვენ ყველაფერი იღონოთ არსებული დაძაბულობის შესანელებლად და ქვეყნად ნდობის კლიმატის შექმნის ხელშესაწყობად, რათა გაადვილდეს ძირითადი საერთაშორისო პრობლემების გადაჭრა მშვიდობიანი საშუალებებით. ჩვენ მოვუწოდებთ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს, აგრეთვე ყველა სხვა ბირთვულ სახელმწიფოს დაუყოვნებლივ განახორციელონ ღონისძიებანი, რათა თავიდან ავიცილოთ ბირთვული ომის წარმოშობა.

ჩვენი აზრით, თქვენ, როგორც ქვეყნად ორთაგან ყველაზე მძლავრი ქვეყნიდან ერთ-ერთის ხელმძღვანელს, შეგიძლიათ შეაჩეროთ კონფრონტაციისა და კონფლიქტის გამომწვევი ტენდენცია. ამიტომ მოგიწოდებთ სრულად ითანამშრომლოთ მეორე მხარესთან, განაგრძოთ დიალოგი, რომელიც დაიწყო იმ მიზნით, რომ შეწყდეს გამალებული შეიარაღება და მიღწეულ იქნეს არსებითი შეთანხმებანი განიარაღების დარგში, კერძოდ, რაც შეიძლება მალე დადგეს შეთანხმება კოსმოსში გამალებული შეიარაღების თავიდან აცილების შესახებ.

იმედი გვაქვს, რომ უმაღლესი დონის შემდგომ შეხვედრაზე ორივე მხარე შეუდგება მოლაპარაკებას იმ მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ მიაღწიონ შეთანხმებას ბირთვული გამოცდების უადმივი მორატორიუმის შესახებ. მსოფლიოს ხალხები მოესალმებიან ასეთ ნაბიჯს, რომელიც მნიშვნელოვან წვლილს შემატებდა ბირთვული იარაღის გავრცელების საფრთხის საქმეს და ხელს შეუწყობდა განიარაღების სხვა დარგების პროგრესს.

დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ იზიარებთ ჩვენს წუხილსა და ჩვენს იმედებს და ამიტომ გთხოვთ, უაღრესად სერიოზულად მოეკიდოთ ამ მოწოდებას, რათა თავიდან ავიცილოთ შესაძლო დაქანება ბირთვული საომარი კონფლიქტის უფსკრულისაკენ და დავამკვიდროთ მშვიდობისა და თანამშრომლობის პერსპექტივები.

მიუმხრობლობის მოძრაობა იღვწის გლობალური სტაბილურობის უზრუნველყოფისა და თანასწორუფლებიანი საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების გზების ძიებისათვის იმ ძირითადი პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრელად, რომლებიც დღეს დგას მსოფლიოს წინაშე. ჩვენ, მისი მონაწილენი, მზად ვართ კვლავაც აქტიური მონაწილეობა მივიღოთ უსაფრთხო საერთაშორისო კლიმატის შექმნის საქმეში.

იდენტური შინაარსის წერილი გაგზავნა მის აღმატებულებას ბატონ რონალდ რეიგანს, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს.

იმედი გვაქვს, რომ ეს მოწოდება ხელს შეუწყობს თქვენს საკუთარ ძალისხმევას შეხვედრის მოსაწყობად და ისეთი შედეგების მისაღწევად, რომლებიც გაითვალისწინებს ჩვენი პლანეტის სახელმწიფოთა და ხალხთა ძირითად ინტერესებს. ამავე დროს ჩვენ მოვუწოდებთ ყველა სხვა მთავრობასა და ხალხებს თავიდან აიცილონ კაცობრიობას ომის უბედურება, ხელი შეუწყონ მის აყვავებას, ცნონ ჩვენი სვე-ბედის ერთიანობა და მიზანდასახულად იღვაწონ ისეთი მერმისისათვის, რომელშიც დაისადგურებს საყოველთაო მშვიდობა, ღძრსება, განვითარება და პროგრამული.

დაგელოცოთ ჭერი ახალი!



გუშინ ახალმოსახლეობა იზეიმა კოჯრის მე-2 საბავშვო სახლმა, რომელსაც მინისტრთა საბჭოს ყოფილი სამი კოტეჯი დაეთმო წყნეთში. აქ ნორჩთა განკარგულებაშია კეთილმოწყობილი, ნათელი საძინებელი და სათამაშო ოთახები, სამედიცინო პუნქტი, მუსიკალური და სატელევიზიო სალონები, ლამაზად გაფორმებული გასართობები და ყვავილნარით დამშვენებული ფართო ეზო.

ნორჩ მობინადრეთ ახალმოსახლეობა მიულოცეს და ბედნიერი ბავშვობა უსურვეს პედაგოგებმა, მოსწავლეებმა, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა, რომლებმაც გულთბილად დაბინავეს ისინი და პირველი საჩუქრებიც გადასცეს.

* * *

სურათებზე: წყნეთის საბავშვო სახლის ეზო; საბავშვო სახლის დირექტორი თამარ ფარჩუკიძე და მისი ალსაზრდელები; სასადილო ოთახი.

ს. კილაძის ტექსტი და ფოტო.

პარადის მონაწილეთა საზეიმო ვახშამი

ამიერკავკასიელი მეომრები, რომლებმაც ოქტომბრის დღესასწაულის წინ ღირსეულად გაიარეს [illegible] ... ქვეყანა თბილისის გარნიზონის ჯარების მომავალი, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 69 წლისთავისადმი მიძღვნილი პარადის მონაწილეთა საზეიმო კრებაზე, რომელიც საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა.

კრებაზე მოხსენება გააკეთა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის პირველმა მოადგილემ გენერალ-ლეიტენანტმა ა. მ. მაკაშოვმა.

კრებაზე გამოსულებმა — სერჟანტმა ი. ვ. პოტაპოვმა, ქვეითი ჯარის საბრძოლო მანქანის მძღოლმა მექანიკოსმა ვ. მ. ოპანასენკომ და სხვებმა განაცხადეს, რომ პარადზე საქართველოს დედაქალაქში გამოავლენენ დიდ ოსტატობასა და გაწვრთნილობას.

საზეიმო კრების შემდეგ მომავალი სამხედრო პარადის მონაწილეთათვის გაიმართა კონცერტი.

(საქინფორმი).

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დასაჩქარებლად

გაიხსნა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის სხდომა

ბუჭარესტი. აქ გაიხსნა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის 42-ე სხდომა, რომელზეც განიხილავენ სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის შემდგომი განვითარების უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

სესიის მუშაობაში მონაწილეობენ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მთავრობათა მეთაურების დონის დელეგაციები, აგრეთვე იუგოსლავიის დელეგაცია და სოციალისტური ორიენტაციის მთელი რიგი განვითარებადი ქვეყნების მეთვალყურენი.

სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ი. რიჟკოვმა. მან თქვა, რომ მიმდინარე წლის დამდეგი აღინიშნა საბჭოთა კავშირის უდიდესი საგარეო-პოლიტიკური ინიციატივით, რომელმაც 15 იანვარს წამოაყენა 2000 წლისათვის ბირთვული და მასობრივი მოსპობის სხვა იარაღის ეტაპობრივი ლიკვიდაციის ცხობილი პროგრამა. ჩვენი ლენინური პარტიის XXVII ყრილობამ გამოაქვეყნა საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნის კონცეფცია, რომელშიც სათანადო ადგილი განეკუთვნება არა მარტო მის სამხედრო და პოლიტიკურ, არამედ ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ ასპექტებსაც.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებმა, რომლებიც მხარს უჭერენ განიარაღების პრობლემისადმი კომპლექსურ მიდგომას, პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის ბუდაპეშტის თათბირზე წამოაყენეს შთამაგონებელი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირებას და ამასთან სახელმწიფოთა სამხედრო ხარჯების შეკვეცას. ჩვენ ჯერ კიდევ ველით ამ წინადადებაზე ნატოს ქვეყნების პასუხს. ბირთვული და ქიმიური იარაღისაგან ევროპის განთავისუფლების საქმეში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ბალკანეთსა და ევროპის ცენტრში ასეთი იარაღისაგან თავისუფალი ზონების შექმნა რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის წინადადებათა შესაბამისად.

ომისა და მშვიდობის პრობლემების კარდინალური გადაჭრის, ბირთვული საფრთხის თავიდან აცილებისა და ყველაზე ფართო საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების ისტორიული შანსი შეიქმნა საბჭოთა კავშირ-ამერიკის რეიკიავიკის შეხვედრაზე. ახალმა, ზორს გამოხსულმა საბჭოთა წინადადებებმა, რომლებიც ამ შეხვედრაზე წამოაყენა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა, დამაჯერებლად ცხადყო, რომ ბირთვული ჩიხიდან გამოსვლა შეესაძლებელია, თუ ამერიკის შეერთებული შტატები აღარ ეცდება სამხედრო უპირატესობის მოპოვებას, თუ გამალებული შეიარაღება არ იქნება გადატანილი კოსმოსში. ბირთვული განიარაღებისათვის ბრძოლაში შეიქმნა თვისებრივად ახალი სიტუაცია, რომელიც საჭიროებს იმას, რომ გაზარდოთ ძალისხმევა ბირთვული იარაღის რადიკალური შეკვეცირებისა და სრული ლიკვიდაციის მიზნით.

როგორც საერთაშორისო, ისე საშინაო საქმეებში ყველანი ვგრძნობთ ჩვენი ერთიანობის, ძოძე ქვეყნების შეკავშირების დიად ძალას. ამას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მსოფლიოს ახლანდელ რთულ ვითარებაში, სოციალისტური მშენებლობის ყველაზე მასშტაბური ამოცანების გადაწყვეტაზე თანამეგობრობის ქვეყნების გადასვლის პირობებში. ეს საშუალებას გვაძლევს უფრო სწრაფად ვიაროთ წინ დასახული მიზნებისაკენ, უფრო მტკიცედ გამოვავლინოთ უარყოფითი მოვლენების მიზეზები, დავძლიოთ ჩვენი სიძნელენი და ნაკლოვანებანი.

სოციალისტური ქვეყნების პირობების მთელი მრავალფეროვნების მიუხედავად, ჩვენ ბევრ საერთო ამოცანას ვწყვეტთ. ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციის, მისი ეფექტიანობის კარდინალური გადიდების საფუძველზე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება. მოსკოვის ეკონომიკურ თათბირზე ჩვენ ყველამ თანამშრომლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზნად მივიჩნიეთ ხელი შევუწყოთ ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკას, კუბის რესპუბლიკასა და მონღოლეთს მათი განვითარების დაჩქარებასა და სახალხო მეურნეობის ეფექტიანობის გადიდებაში. ჩვენი ეს საერთო შეთანხმებული კურსი მოწმობს, რომ დაჩქარების სტრატეგიას პრინციპული მნიშვნელობა აქვს, გამოხატავს განვითარების ახლანდელ ეტაპზე სოციალისტური ღრმა ბოთხოვნილებებს, რომ მას განსაზღვრავს ჩვენი შინაგანი, ისე გარეშე ფაქტორები.

სკკპ XXVII ყრილობისა და სხვა მომმე პარტიების ყრილობათა მიერ დასახული ამოცანები, რომელთა მიზანია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ბაზაზე ეკონომიკის ინტენსიფიკაცია, თანამეგობრობის ტექნიკურ-ეკონომიკური მოუწყვლელობის განმტკიცება, ჩვენი ერთიანობისა და შეკავშირების გაძლიერება, ურთიერთთანამშრომლობის სისტემაში ძირეულ ცვლილებებსაც საჭიროებს.

სკკპ XXVII ყრილობამ დაადასტურა, რომ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი უკვე მიმდინარე ხუთწლედში მოძმე ქვეყნებთან ერთად ახალი ნაბიჯი გადავდგათ სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარების გზაზე. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი ორიენტირად უსახავს სახელმწიფო მართვის ყველა ორგანოს, საბჭოთა სამეურნეო მექანიზმის ყველა რგოლს ეკონომიკური ურთიერთდახმარების ქვეყნებთან თანამშრომლობის ყოველმხრივ განვითარებას, წარმოების ინტენსიფიკაციის მიზნით შრომის საერთაშორისო სოციალისტური დანაწილების უპირატესობათა უფრო სრულად გამოყენებას.

ეკონომიკის გარდაქმნა რთული პროცესია. თავისთავად სოციალურ-ეკონომიკური დაჩქარების კურსი საზოგადოებრივი საქმიანობის სხვა სფეროებში გარდაქმნასაც ნიშნავს. საბჭოთა კავშირს დაუდგა ღრმა რევოლუციური გარდაქმნების პერიოდი, რომელთა მიზანია 70-იანი და 80-იანი წლების დამდეგის ნეგატიური ტენდენციების დაძლევა, ინტენსიურ გზაზე დაჩქარებული გადასვლა, ხარისხის გაუმჯობესება და ეფექტიანობის გადიდება. XXVII ყრილობის დოკუმენტებში ხაზგასმულია, რომ დასახული მიზნების მისაღწევად საჭიროა უფრო სრულად გამოვიყენოთ სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის შესაძლებლობანი.

ახლა საბჭოთა კავშირში მიმდინარეობს მუშაობა ერთიანი სამეურნეო მექანიზმის შექმნისათვის, რომელიც შეესაბამება ინტენსიფიკაციის მოთხოვნებს. მისი ორგანული ნაწილია საგარეოეკონომიკური საქმიანობის სისტემის ძირეული გარდაქმნები.

მათ დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ეკონომიკის განვითარებისთვისაც და თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან მისი თანამოქმედებისთვისაც, სოციალისტური ინტეგრაციის გაღრმავებისათვის. უამგარდაქმნებოდ ძნელი იქნება გამოვაყენოთ შრომის საერთაშორისო სოციალისტური დანაწილების უპირატესობანი როგორც ჯერ არს, იმდენად გავზარდოთ ჩვენი თანამშრომლობის ეფექტიანობა, რომ იგი ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ყველა ქვეყნისათვის იქცეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების გზის განხორციელების ქმედით ინსტრუმენტად.

მიმდინარე წელს ჩვენს ქვეყნებში დაიწყო ერთობლივი გამოკვლევები კომპლექსური პროგრამის პრობლემებთან დაკავშირებით. მარტო წლეულს 400-მდე დამთავრებული ნამუშევარი გადაეცემა წარმოებას. ჩვენს სახალხო-სამეურნეო გეგმაში საამისოდ გათვალისწინებულია საჭირო რესურსები. მაგრამ ორგანიზაციული ამოცანები არ მოხსნილა დღის წესრიგიდან და, საეჭვოა, რომ ისინი შემდგომშიც მოხსნას. პროგრამის მიხედვით სამუშაოთა უზრუნველყოფა მრავალ საკითხს სვამს სხვადასხვა დონეზე. მათი გადაწყვეტის დროს ჩამოყალიბდება და დაიხვეწება პროგრამის მართვის სრულფასოვანი ერთიანი მექანიზმი, რომელიც მოიცავს სამუშაოთა ყველა სტადიას და ზუსტად წარმართავს სამეცნიერო-საწარმოო კოოპერაციის განვითარებას. აქ ბევრი სიძნელე გვაქვს. მთელ რიგ შემთხვევებში იქმნება შიდასაუწყებო და საუწყებათაშორისო ბარიერები, ზოგჯერ თავს იჩენს ბიუროკრატიული სტილი. ამიტომ ყველას დიდი მუშაობა მოგვიწევს. ძმაყოფილებას გამოვთქვამთ იმის გამო, რომ ურთიერთმორგებით ჩვენს სესიაზე დეტალურად განვიხილავთ ამ საკითხებს.

განვლილ პერიოდში ერთობლივი საქმიანობის სხვა მნიშვნელოვანი შედეგია 1986-1990 წლების გეგმების კოორდინაციის დროს მთელი რიგი დიდი სახალხო-სამეურნეო პრობლემების გადაჭრა. მათი ნაწილი შორს სცილდება ამ პერიოდის ფარგლებს. ხელმოწერილია ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის 2000 წლამდე პერიოდის ორმხრივი პროგრამები.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნები გამოთქვამენ ერთსულოვან აზრს, რომ ტრადიციული გზები დღეს არ არის საკმარისი, რომ ეს გზები ვერ უზრუნველყოფს ეკონომიკის ინტენსიფიკაციას და ჩვენ ყველას გვჭირდება ახალი ფორმები, რათა დინამიზმი მივანიჭოთ ეკონომიკურ განვითარებასა და თანამშრომლობას. ჩვენ ვიცით, რომ ეს, უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და ეკონომიკური ამოცანაა და მტკიცედ ვუჭერთ მხარს თანამშრომლობის ახალი ფორმების გამოყენებას, პირდაპირი ურთიერთობის ყოველმხრივ გაფართოებას, ერთობლივი საწარმოებისა და ორგანიზაციების შექმნას. ამეკვამად 300-მდე საბჭოთა საწარმოს აქვს პირდაპირი ურთიერთობა მოძმე ქვეყნების საწარმოებთან.

ჩვენი სესიის განსახილველად, თქვა შემდეგ ნ. ი. რიჟკოვმა, წარმოდგენილია დოკუმენტი, რომელიც ბევრად განსაზღვრავს თანამეგობრობის ქვეყნებში ენერგეტიკის განვითარებას. ეს არის ატომური ელექტროსადგურებისა და თბომომარაგების სადგურების მშენებლობის პროგრამა, რომლითაც გათვალისწინებულია 2000 წლისათვის ატომური სადგურების მთლიანი სიმძლავრე ეკონომიკური ურთიერთდახმარების ქვეყნებში, სსრ კავშირის გარდა, გავზარდოთ 50 მილიონ კილოვატამდე 1986 წლის დაახლოებით 8 მილიონი კილოვატის ნაცვლად. ატომურ ელექტროსადგურებში ელექტროენერგიის გამომუშაებამ მისი წარმოების საერთო მოცულობის 30-40 პროცენტს შეადგენს. სსრ კავშირში, სადაც ეს წელი ახლა დაახლოებით 11 პროცენტია, აგრეთვე ვაპირებთ გაზარდოთ იგი დაახლოებით ოცდაათ პროცენტამდე, ატომური ელექტროსადგურების სიმძლავრეები გავადიდოთ 5-6-ჯერ. გარდა ამისა, ჩვენ ავაშენებთ თბომომარაგების ატომურ სადგურებს, რითაც დაზოგავთ ძვირფას და დეფიციტურ ორგანულ სათბობს — გაზსა და მაზუთს.

ეს გზა ავირჩიეთ ელექტრულ და სითბურ ენერგიაზე ჩვენი მზარდი მოთხოვნილებების, მათი დაკმაყოფილების შესაძლებლობების, ენერგეტიკის დარგში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მსოფლიო ტენდენციების, საგულდაგულო ანალიზის შედეგად. ჩერნობილის ტრაგედია არათუ არ გაადათიღებს თანამშრომლობაში ბირთვული ენერგეტიკის პერსპექტივებს, არამედ, პირიქით, ყურადღების ცენტრში აყენებს რა მეტი უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებს, განამტკიცებს ბირთვული ენერგეტიკის, როგორც ერთადერთი წყაროს, მნიშვნელობას, რომელიც სამომავლოდ საიმედო ენერგიზრუნველყოფის გარანტიას იძლევა. კოლექტიური პროგრამა საამისოდ საოლდაო საფუძველს ქმნის. სოციალისტური ქვეყნები კიდევ უფრო აქტიურად ებმებიან ამ დარგში საერთაშორისო თანამშრომლობაში, ხელმძღვანელობენ ჩვენ მიერ ატომური ენერგიის საერთაშორისო საგენტოში შეტანილი წინადადებით.

წარმატებით რომ გავართვათ თავი პროგრამის ამოცანებს, მნიშვნელოვნად უნდა გავზარდოთ ატომური მოწყობილობის წარმოება, ეკავაფართოოთ კოოპერაცია, შევავსოთ ამ საკითხთა გამო მოქმედი შეთანხმებანი.

უცილობელი პირობა უნდა გახდეს ისეთი მტკიცე ვალდებულებების მიღება, რომლებიც ატომური სადგურების მშენებლობის პროგრამის უზრუნველყოფისათვის ქვეყნებმა მიიღ შექმნილი ატომური მოწყობილობის წარმოების სამმხრივი ინტენსიფიკაციის ეკონომიკური ურთიერთობის ეფექტიანობის ამაღლებისა და ეფექტიანობის ზრდის ინტენსიურ ფაქტორად ქცევის ამოცანებზე. ეს ამოცანა ეხება ეკონომიკური ურთიერთობის ყველა ფორმასა და ფუნქციას, ეხება ეკონომიკური ბერკეტებისა და ეკონომიკური სტიმულირების ეფექტიანობის ამაღლებას, ეხება ეკონომიკური ურთიერთობის ინფრასტრუქტურის, ბანკების, ფასების, ფინანსების, ეროვნული ვალუტების, ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებას, ეხება ეკონომიკური ურთიერთობის ინფორმაციული ბაზის, ეხება ეკონომიკური ურთიერთობ

ჯანმრთელობა მთავარი სიმდიდრეა

თბილისის საქალაქო საბჭოს სესიაზე

„ყოველი ადამიანისათვის, და მთელი საზოგადოებისთვისაც არა არის რა იმაზე უფრო ძვირფასი, ვიდრე ჯანმრთელობა. ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვა და გაკეთება უპირველესი მნიშვნელობის ამოცანაა". XXVII ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენების ამ სტატეებმა განსაზღვრეს თბილისის საბალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს სესიის აზრი და შინაარსი. სესიის მონაწილეებმა განიხილეს თბილისის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მდგომარეობის საკითხი ქვეყნისა და რესპუბლიკის კომუნისტთა უმაღლესი ფორუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

მოხსენება გააკეთა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ნ. ა. ქვანიამ.

დეპუტატებმა განიხილეს თბილისის საბალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ინფორმაცია, თუ რა ღონისძიებანი ხორციელდება, რათა შესრულდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება „სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად დეპუტატთა ჯგუფების, საგუშაგოებისა და მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების მუშაობისადმი საქართველოს სსრ საბალხო დეპუტატთა საბჭოების ხელმძღვანელობის პრაქტიკის შესახებ".

მოისმინეს აგრეთვე თბილისის საბალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს მრეწველობის მუდმივი კომისიის ანგარიში.

განხილულ საკითხზე მიიღეს შესაბამისი დადგენილებანი.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ი. ალავიძე.

(საქინფორმი).

მერაკეტეთა მტკიცე სიტყვა

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარებში ჩაღდება სრულიად საკავშირო ალკკ XX ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის ამიერ კომკავშირელთა პატრიოტული მოძრაობა.

თაოსნობა გამოიჩინეს სარაკეტო ნაწილის კომკავშირელებმა, სადაც კომკავშირის კომიტეტის წევრია ლეიტენანტი პ. ზაჭარიშვილი. ოლქის ახალგაზრდა კომკავშირელი მეომრებისადმი მათს მიმართვაში ნათქვამია: „ჩვენი მიზანია: მხედრული კოლექტივი — მეგობრული საბრძოლო ოჯახი". ჩვენი წესია: „დღეს კომკავშირელისათვის არ კმარა მხოლოდ შემსრულებლობა და დისციპლინა, საჭიროა ინიციატივა და პასუხისმგებლობა კოლექტივის საქმეებისათვის".

მერაკეტეები კისრულობენ პირველი გაშვებით მოსპონ მიზანი ამინდის ყოველგვარ პირობებში, მტკიცედ იბრძოლონ ყოველი მეცადინეობის ინტენსიფიკაციისათვის, საწვრთნელ-საბრძოლო ამოცანებისა და ნორმატივების დამუშავების ეფექტიანობისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის, აღზარდონ საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების წარჩინებულთა 40 პროცენტი, გადიდებული ალსის სპეციალისტთა 60 პროცენტი.

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭომ და პოლიტიკურმა სამართველომ მოიწონეს მხედრული კოლექტივის მიმართვა და რწმენა გამოთქვეს, რომ მოწოდებას ფართოდ გამოეხმაურებიან სამხრეთის მოჯნების შეიარაღებული დამცველები.

ამ რწმენას აძლიერებს ინიციატორთა მტკიცე სიტყვა. ამჟამად მიმდინარე შემაჯამებელ მეცადინეობებზე ბევრი ახალგაზრდა მერაკეტე მხოლოდ ფრიად და კარგ შეფასებას იღებს. მეთაურის მადლობით აღინიშნა უმცროს სერჟანტ ფ. ყადიროვის, რიგითების კ. კაზარიანის, ნ. ტუგაევისა და სხვების წარმატებები ტაქტიკურ, პოლიტიკურ და სპეციალურ მომზადებაში. (საქინფორმი).

საზღვარზე წვრილმანები არ არსებობს

სიტყვები „სიფხიზლე" და „საზღვარი" განუყოფელია. იქ, სადაც გავლებულია ხაზი, რომელიც ჩვენს სამყაროს უცხოსაგან გამოყოფს, შეუძლებელია ყურადღება არ მიაქციო ნებისმიერ „წვრილმანს", რომელმაც შეიძლება შენიღბოს ჩვენი სამშობლოს ინტერესებისათვის ზიანის მიყენების ცდა. სიფხიზლის გრძნობას უვითარებს მეომრებს მათი სამსახური პირველი ნაბიჯებიდანვე სასაზღვრო ჯარებში. იგი ბავშვობიდანვე ახასიათებს სასაზღვრო რაიონის ყოველ მცხოვრებს.

აეროპორტის დარბაზში

ამ დღეს აეროპორტში საერთაშორისო რეისების ტურისტებს უცხოელი სტუმრებიც დაემატნენ, რომლებიც „აეროფლოტის" მომსახურებით სარგებლობდნენ. ამიტომ დარბაზში, სადაც მიმდინარეობდა სპასპორტო და საბაჟო შემოწმება, ხალხმრავლობა იყო. უცხოელებთან მომუშავე მესაზღვრეებმა გაასამკეცეს სიფხიზლე.

საღამოვდებოდა, როცა სერჟანტმა ა. კოსტენკომ შენიშნა, რომ ერთ-ერთმა სტუმარმა სპორტული ჩანთიდან ამოიღო ბროშურები, ჟურნალებია და ბროშურების დასტა. იგი ირგვლივ იხედებოდა, ცდილობდა ხალხში მიმალულიყო, „ეშინია, რომ ჩვენ შეიძლება დაგვაინტერესოს მისმა „ბიბლიოთეკამ", — მიხვდა მესაზღვრე.

ამის შესახებ მან უფროსობას მოახსენა. მაგრამ გულმოდგინე სამაჯო შემოწმების დროს ვერაფერი გაზეთები და ჟურნალები ვერ აღმოუჩინეს. ნუთუ მესაზღვრე შეცდა?

თურმე, არა. მეომრების განწესმა გულმოდგინედ დაათვალიერა მთელი დარბაზი და მოფარებულ კუთხეში აღმოაჩინა საგულდაგულოდ შენიღბული იდეოლოგიურად მავნე ლიტერატურის დასტა. იმის შიშით, რომ სამხილით შეიპყრობდნენ, „სტუმარი", შეეცადა თავიდან მოეცილებინა ტვირთი.

„სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებს შევასრულებთ, უზრუნველვყოფთ სანიმუშო მოსაზღვრეს!" — ამ დევიზით გაშლილი შეჯიბრების შედეგების მორიგი შეჯამების დროს უმცროსი სერჟანტი ა. კოსტენკო მეწინავეთა შორის დაასახელეს.

საპარიკმახეროში

როცა პატარა საკურორტო ქალაქის საპარიკმახეროში მორიგი კლიენტი შევიდა, ოსტატმა ნ. რურუამ მაშინვე გამოარჩია იგი დანარჩენ ადამიანებს შორის, რომლებიც თავიანთ რიგს ელოდებოდნენ. უცნობი აშკარად ღელავდა, ცქმუტავდა სკამზე, ხშირად გადიოდა მოსაწევად.

სავარძელში ჩაჯდომისთანავე მან საუბარი გაუბა პარიკმახერს. ჰკითხა, თუ როგორ შეიძლებოდა საზღვაო ნავსადგურის ტერიტორიაზე გასვლა, სადაც უცხოური გემები დგანან. ნებაყოფლობითი სახალხო რაზმის აქტიურმა წევრმა ნოდარ რურუამ არ შეიმჩნია, რომ ამ შეკითხვებმა დაიქვა. მან გადაწყვიტა ემოქმედა. რურუამ ცოტა ხნით დატოვა „კლიენტი" და გავიდა მეზობელ ოთახში „კომპრესის მოსატანად"...

როცა უცნობი საპარიკმახეროდან გამოვიდა, მას უკვე ელოდებოდნენ მესაზღვრეები მანქანით. რამდენიმე დღის შემდეგ კი ნ. რურუა სარდლობამ დაჯილდოვა.

ა. კანდელაკის ნახატი.

სანატორიუმში

სეზონისათვის უჩვეულოდ თბილი ღამე იყო ზღვისპირა სანატორიუმში. უკვე დაკარიელდა პარკის ხეივნები, მიჩუმდა ხმაური საცეკვაო დარბაზში, როცა მორიგეს ორი კაცი მიუახლოვდა. მათ სთხოვეს, დამსვენებლები ვართ, არ გვეძინება და, თუ შეიძლება, ნავით გავისეირნებთო.

მორიგე, რომელიც მრავალი წელი ცხოვრობს საზღვისპირა ქალაქში, მაშინათვე დაეჭვდა. თანაც „დამსვენებლებიც" არ ეცნო, უცნობებს უთხრა, „მაღე დაგბრუნდებიო" და მთავარ ექიმს, რ. ჯეჯელავას მიაშურა.

როგორც ყოველთვის ღამით მორიგეობისას, რამაზ ჯეჯელაჯა ძრა მარტო მედიკოსის, არამედ სახალხო რაზმელის მოვალეობასაც ასრულებდა. სანატორიუმის სხვა თანამშრომლებთან — ასევე ნებაყოფლობითი სახალხო რაზმის წევრებთან ერთად, რომლებიც სანატორიუმის ტერიტორიას პატრულობდნენ, მან უცნობებს საბუთები მოსთხოვა. მათ საბუთები არ აღმოაჩნდათ, ასევე არ აღმოჩნდა მათი გვარები დამსვენებელთა სიაში.

უცნობებმა მიმალვა სცადეს, მაგრამ რაზმელებმა დააკავეს და გადასცეს მესაზღვრეებს, რომლებიც განგაშის სიგნალზე გამოცხადნენ. როგორც შემდეგ შეიტყვეს სანატორიუმში, დაკავებულები სულაც არ ყოფილან საზღვაო სეირნობის მოყვარულები...

შთამბეჭდავი წარმატება

საბჭოთა კავშირის მოჭადრაკე ქალთა 46-ე ჩემპიონატი ამჟამად დროს მსოფლიოს მორიგი პრეტენდენტების ზონალური ტურნირი იყო. პრეტენდენტების უკანასკნელი შეჯიბრების შედეგების თანახმად ამ კი ე. ახმილოვსკაიასა და ნ. ალექსანდრიას პრეტენდენტთა მომდევნო ასეთ შეჯიბრებაში პერსონალური მონაწილეობის უფლება აქვთ. რაც შეეხება პრეტენდენტთა ასპარეზობის კიდევ 6 მონაწილეს, ისინი გაისად ორმა საზონთაშორისო ტურნირმა უნდა შეარჩიოს — სამ-სამი თითოეულმა. ფიდემ ამ საზონთაშორისო ტურნირში თამაშის უფლება მიანიჭა მსოფლიო ექსჩემპიონ ნ. გაფრინდაშვილს, ი. ლევიტინას, მ. ლიტინსკაიასა და ლ. სემიონოვას, გარდა ამისა, საბჭოთა კავშირს მიეკუთვნა კიდევ 4 საგზური, რომელთა მფლობელები საკავშირო ჩემპიონატს უნდა გამოეცხადებინენ.

უკანასკნელი წლების დიდ ტურნირებში ძნელია გაიხსენო ისეთი უპირატესობა, როგორიც ფრუნზეში სხვა მონაწილეებთან შედარებით ნანა იოსელიანს ჰქონდა. თბილისელმა დიდოსტატმა პირველ ტურში წაადო ლელჩუკთან, თუმცა უკეთესი პოზიცია ჰქონდა. ამას მოჰყვა თანამედროვე პრაქტიკაში უმაგალითო სერია, რომელიც ზედიზედ 9 (!) გამარჯვებით გამოიხატა. შეიძლება ითქვას საზონთაშორისო ტურნირის ერთ-ერთი საგზურის ბედი ადრევე გადაწყდა. მაგრამ ჩემპიონობისათვის ბრძოლაში იოსელიანს ჯერ კიდევ რჩებოდა მეტოქეები. მათ შორის ყველაზე ძლიერი იყო 18 წლის ქეთევან არაბამია, რომელსაც რამდენიმე უკანასკნელი სეზონის მახსოვრებ, მართლაც რომ, დიდი წარმატებები აქვს. არაბამიასთან შეხვედრამდე იოსელიანმა ზედიზედ ორი პარტია წაადო! ლიდერს კიდევ ერთხელ მოუხდა ძალების მოკრება. არაბამიას დამარცხების შემდეგ მას უკვე არავითარი საფრთხე აღარ მოელია: მან შეჯიბრება 11,5 ქულით დაამთავრა და მესამედ მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება. ეს, რა თქმა უნდა, ბრწყინვალე მიღწევაა. 24 წლის ნანა იოსელიანი ადრე ორჯერ მონაწილეობდა პრეტენდენტთა ასპარეზობებში. ვუსურვოთ მას საზონთაშორისო ზღუდის დაძლევა, რაც ნიჭიერ ქართველ დიდოსტატა მსოფლიოს სხვა უძლიერეს მოჭადრაკეებთან შეხვედრის კიდევ ერთ შესაძლებლობას მისცემს.



კარგი სატურნირო მდგომარეობა ჰქონდათ ნ. გურიელსა და კ. ბაგინსკაიტეს, შეუპოვრად იბრძოდნენ გ. სახატოვა და ლ. ზაიცევა. გურიელმა, სამწუხაროდ, ბოლო ეტაპი სუსტად ჩაატარა. ფინიშზე სხვა პრეტენდენტებზე უკეთ ითამაშეს ს. მატვეევამ (ფრუნზე) და ზ. ლელჩუკმა (ლვოვი). მათ 9,5-9,5 ქულა დაგროვეს და მეოთხე-მეხუთე ადგილები გაიყვეს. მათი წარმატება შემთხვევითი არ არის, მატვეევა 17 წლისაა, მაგრამ საზონთაშორისო ტურნირში პირველად ჯერ კიდევ შარშამდე მონაწილეობდა. ამ ასაკში ასეთი უფლების უკვე მეორედ მოპოვება თავისთავად მრავლისმეტყველი ფაქტია. საგზური პირველად ხვდა წილად ლელჩუკს, რომელმაც სექტემბერში სოჭის საკრთაშორისო ტურნირში დამაჯერებლად დაიკავა პირველი ადგილი.

მაშ ასე, იოსელიანი და არაბამია, მატვეევა და ლელჩუკი! როგორც იტყვიან, „განაჩენი საბოლოოა". ზონალური ტურნირი დამთავრდა, დღის წესრიგში დგება უფრო მნიშვნელოვანი — საზონთაშორისო ასპარეზობები.

გ. გამრეკელი.

სტუდენტური ხელოვნების ჰორიზონტები

„უცხო ჩიტის" საუცხოო შესრულება

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სახალხო თეატრის კოლექტივი გასტროლებზე მიიწვიეს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. რა იყო ამის მიზეზი? შარშან ნოემბერში თბილისში იმყოფებოდა მსოფლიოს მოყვარულთა თეატრების ასოციაციის პრეზიდენტი ზიგფრიდ კრაინერი. იგი პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დაესწრო რეზო გაბრიაძის პიესის მიხედვით დადგმულ სპექტაკლს „უცხო ჩიტი, ანუ პირველი სიყვარული", დიდი შეფასება მისცა სტუდენტების ნამუშევარს და სურვილი გამოთქვა თავის სამშობლოში — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ კარლსრუესშიც ეჩვენებინათ იგი ქართველ ახალგაზრდებს.

სიტყვა საქმედ იქცა, აი, ახლახან, ოქტომბრის შუა რიცხვებში პოლიტექნიკური ინსტიტუტის სახალხო თეატრი საგასტროლოდ ჩავიდა კარლსრუესში. სტუდენტებს დაეთმოთ ამ ქალაქში არსებული „სანდკორმტეატრის" დიდი დარბაზი (თეატრს სწორედ ზიგფრიდ კრაინერი ხელმძღვანელობს). პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ სპექტაკლს „უცხო ჩიტი ანუ პირველი სიყვარული" აღტაცებული შეხვდა ადგილობრივი მაყურებელი.

კარლსრუესში ორჯერ უჩვენეს სპექტაკლი ახალგაზრდებმა, ორივეჯერ — აწმლაგი. შემდეგ კი ერთხელ წარმოადგინეს იგი ქალაქ ლანდენბურგში.

სურათებზე: სპექტაკლის სცენა. ერთიანზე — მამუკა ძანძავა, ქრისტეფორე — მერაბ ნიკოლაიშვილი; გერმანული აფიშა სპექტაკლისა „უცხო ჩიტი ანუ პირველი სიყვარული".

ყურადღება!

საღდესასწაულო მზადებისას ნუ დაივიწყებთ, რომ უნდა დაიცვათ სახანძრო უსაფრთხოების წესები.

უნდა გახსოვდეთ!

არ შეიძლება ბენზინისა და სხვა ადვილად აალებადი სითხეების გამოყენება იატაკის მოსაწმენდად და მასტიკის გაცხელება ღია ცეცხლზე ან ელექტროქურაზე.

ნუ დატოვებთ უმეთვალყურეოდ ანთებულ გაზქურებს, ელექტროქსელში ჩართულ ელექტროგამახურებელ ხელსაწყოებს და ნუ მიანდობთ მათს მეთვალყურეობას ბავშვებს.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველო;
ჭანაძრეთა ნებაყოფლობითი საზოგადოება.

სადღესასწაულო ბაზრობა

მოსკოვში

საკავშირო სადღესასწაულო ბაზრობაა მოსკოვის მოედნებზე. მოსახლეობის განკარგულებაშია ათობით მისამართი. შეიძლება „გავემგზავროთ" შუა აზიასა და ბალტიისპირეთში, ამიერკავკასიასა და უკრაინაში... მოსკოვის ექვს რაიონსა და თანამგზავრ ქალაქ ზელენოგრადში კი დახლებთან ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები დგანან. მაგრამ მაინც ქართული ბაზრობის ეპიცენტრია რიგის, ან — როგორც მას ხუმრობით დროებით შეარქვეს მისმა სტუმრებმა — ქართული ბაზრობა.

— ნამდვილი კავკასიური სტუმართმოყვარეობა გვიჩვენეს საქართველოს სსრ აგრომრეწვმა და კოოპერატორებმა, — თქვა მოსკოვის ძერჟინსკის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ე. იურკინმა. — ამასთან გამოავლინეს გემოვნება, ფანტაზია და გამოგონებლობა.

აი, რას წერდა გაზეთი „პრავდა" 2 ნოემბრის ნომერში.

„ლამაზ სანახაობად იქცა ბაზრობა, რომელიც მოწყობილია რიგის ვაგზლის წინ მდებარე მოედანზე. აქ მთელი სისრულით გამოვლინდა საქართველოს წარმოგზავნილთა ორგანიზატორული ნიჭი, ორიგინალობა, ფანტაზია. მათ დედაქალაქში ჩამოიტანეს დაახლოებით სამი ათასი ტონა ვიტამინიანი პროდუქცია, მათ შორის ბოსტნეული, ციტრუსები, ბოროწეული, ყურძენი, ხურმა, კომში, თხილი და კაკალი, ჩირი, მრავალი სხვა პროდუქტი. ბევრი რამით გაახარეს მოსკოველები აფხაზეთის, აჭარის, გორის, მახარაძის, ლაგოდეხის, მთიანი მხარის სხვა რაიონების მეურნეობებმა. რესპუბლიკურმა გაერთიანება „სოლანმა" წარმოადგინა ხალხური რეწვის ნაკეთობათა ფართო არჩევანი, „საქსანერგემ" — ყვავილები, მეტყევეებმა და ქოიმპერატორებმა — ბუნების ნობათი. რიგის ბაზრის შესაბამისად, სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის საიმედო დაცვას!"

საბჭოთა

ბაზრობა ბოლო ოთხ დღეს ფართოდ ეფინებოდა ხალხს. ბაზრობა ბოლო ოთხ დღეს ფართოდ ეფინებოდა ხალხს. ბაზრობა ბოლო ოთხ დღეს ფართოდ ეფინებოდა ხალხს.

ბაზრობა

ბაზრობა ბოლო ოთხ დღეს ფართოდ ეფინებოდა ხალხს. ბაზრობა ბოლო ოთხ დღეს ფართოდ ეფინებოდა ხალხს. ბაზრობა ბოლო ოთხ დღეს ფართოდ ეფინებოდა ხალხს.

საგუშაგოს ორბიტა

კალათბურთი. ალეირის ქალაქ ორანში დამთავრებულ ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე თბილისის „დინამოს" ვაჟთა გუნდმა დაამარცხა ადგილობრივი „მპო", ალეირის ახალგაზრდული ნაკრები, სირიის ნაკრები და ერაყის „დრაა". თბილისელებმა მხოლოდ ერთი მატჩი წააგეს — ალეირის ეროვნულ ნაკრებთან. საბოლოოდ თბილისის „დინამო" პირველ ადგილზე გამოვიდა, მეორეზე — სირიის გუნდი, მესამეზე კი ალეირის ნაკრები.

ამერიკის შეერთებულ შტატებში გრძელდება სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრების ტურნე. ქალაქ სანდიეგოში (კალიფორნიის შტატი) საბჭოთა კალათბურთელები დამარცხდნენ „ატლეტს ინ ექშენთან" (90:92). ეს იყო ტურნეს მესამე მატჩი, ამ გუნდთან კი მეორე. ჩვენი სპორტსმენები „ატლეტს ინ ექშს" კიდევ ერთხელ შეხვდებიან: ამჯერად ლოს-ანჯელესში.

ფაფი. ალმა-ათაში დამთავრდა ქალთა შორის საკავშირო ჩემპიონატი რუსულ ფაფში. პირველი ადგილი მოიპოვა ვილნიუსელმა ვლადისლავა ანდროლიოლმა.

ველოსპორტი. საფრანგეთის ქალაქ გრენობლის ტრეკზე გამართულ შეჯიბრებაზე ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონმა ანა ლონგომ 5 კილომეტრზე რბოლაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 6.22, 713. აღსანიშნავია, რომ მან თავისივე ერთი წლისწინანდელი მიღწევა (6.29,606) გაუმჯობესა.

ფეხბურთი. სტავროპოლის მხარის ქალაქ ნევინომისკში დამთავრდა ჭაბუკთა გუნდების ფინალური შეჯიბრება „იმედის თასზე". აქ წარმატებით ისპარეზა **საქართველოს ნაკრებმა** (მწვრთნელები — ნ. ამირეჯიბი და ჯ. ანთაძე), რომელმაც ფინალური ეტაპის 5 მატჩიდან 3 შეხვედრა მოიგო, 2 ფრედ დამთავრა, დააგროვა 8 ქულა და თასს დაეუფლა. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლები — 6 ქულა, მოსკოვისა და „შრომითი რეზერვების" ნაკრები — 5-5, უკრაინელი და აზერბაიჯანელი ფეხბურთელები — 3-3 ქულა.

სასტენდო სროლა. ზუგდიდში დამთავრდა სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდების შეხვედრა. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ჩეხოსლოვაკელებმა მსროლელებმა. პირად ჩათვლაში მრგვალ სტენდზე მსროლელთა შორის იმარჯვა თბილისელმა **თამაზ იმნაიშვილმა.** მან 200 შესაძლებლიდან 194 ქულა დააგროვა და პირველი ადგილი მოიპოვა. ასეთივე შედეგით სასანგრე სროლაში მესამე იყო თბილისელი **არჩილ საბედაშვილი.**

ძიუდო. თბილისში დასრულდა საკავშირო ჩემპიონატი შინაგან საქმეთა სამინისტროს სპორტსმენთა შორის. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთაგან უძლიერესთა წოდება მოიპოვეს **დავით დავითაშვილმა** (95 კგ-მდე წონა) და **თამაზ ნამგალაურმა** (78 კგ). იმავე **დავითაშვილმა** აბსოლუტურ კატეგორიაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მესამე ადგილებზე გამოვიდნენ აგრეთვე **ჰამლეტ ლოლაშვილი** (მძიმე წონა) და **რობერტ ლომთაძე** (60 კგ). გუნდურ ჩათვლაში უძლიერესნი იყვნენ რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლები. საქართველოს კოლექტივმა მესამე ადგილი დიაკავა.



სურათზე: მოსკოველებს სთავაზობენ ქართული მიწის ხვავსა და ბარაქას.

ვაჭრობა თბილისში დღესასწაულის წინ.

საქინფორმის ტელეფოტო. თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲔᲚᲔᲥᲠᲐᲜᲔᲑᲖᲔ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

5 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.35 — მოამბე; 10.10 დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 10.20 — დოკუმენტური ფილმები „ნამდვილი გვარი — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!" 21.15 — სიმფონიური და საესტრადო მუსიკის კონცერტი. 21.50 — დოკუმენტური ტელეფილმი „კრისტალები". 22.00 — „ვრემია". 22.40 — მხატვრული ტელეფილმი „გზა შენკენ". მეორე სერია. 23.55 — ახალი ამბები.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

5 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.35 — მოამბე; 10.10 დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 10.20 — დოკუმენტური ფილმები „ნამდვილი გვარი დაუდგენელია" და „ვმეთაურობ ფლოტს შმიდტი". 11.00 — „ცხოვრება კაცისა". სერგო ორჯონიკიძე. ფილმი მესამე და მეოთხე. 12.15 — დოკუმენტური ფილმი „კამილო". 12.35 — მოსწავლეთათვის. საბჭოთა სახელმწიფოს და სამართლის საფუძვლები. 13.05 — დოკუმენტური ფილმი „ახალი ადამიანი ცხოვრებაში. 13.25 — მათემატიკის ტელეკურსი. 13.55 — საინფორმაციო გამოშვება. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსული ენაზე). 16.15 — შევისწავლოთ გერმანული ენა. 16.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.55 — დოკუმენტური ფილმი „სალამოს, 24-ში". 17.10 — ქართული მულტიპლიკაციური კინო-50. ნახატი ფილმი „ნაცარქექიას ახალი ფაფარაკები". 17.25 — „ხუთწლედის მოწინავენი — მეჩაიე ლუბა ჭელიძე. 17.45 — მღერიან და-ძმა კარვალიძეები 18.10—მოსწავლეთათვის. „მთას ხეობა ცვლის". 18.35 — განცხადებები. 18.40 — ლენინური გვარდიის ჯგარისკაცები. მიხეილ კახიანი. 19.05 — „ორჯონიკიძის სახელობისა". 19.25 — მოამბე. 20.00 — ფეხბურთი ევროპის ჩემპიონთა თასზე. მერვედფინალი, კიევის „დინამო"-შოტლანდიის „სელტიკი" რეპორტაჟი კიევიდან. 22.00 — „ვრემია". 22.40 — ფეხბურთი ევროპის თასებზე (მ.).

მეორე პროგრამა. 16.40 — მხატვრული ფილმი „სოფლის ამბავი". 18.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩარჯოუ". 18.10 — მოსწავლეთათვის. მათემატიკა.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

5 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური—კარმენ-სიუიტა, სერენადა (საღამოს, 24-ე აბონ. მე-2 წარმ.); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — შენკენ სავალი გზები; აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — მაია წყნეთელი; მინიატურების სახელმწიფო — ნაკრები; მეტეხის — განდეგილი.

თბილისის გარნიზონის უფროსის ბრძანება № 25

1986 წლის 24 ოქტომბერი
ქ. თბილისი.

1986 წლის 7 ნოემბერს თბილისის გარნიზონის ჯარების პარადის შესახებ

§ 1.

1986 წლის 7 ნოემბერს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 69 წლისთავის აღსანიშნავად 10 საათზე დანიშნულია თბილისის გარნიზონის ჯარების პარადი. პარადს მიიღებს ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი კ. ა. კოჩეტოვი.

პარადის მეთაურობა ნაბრძანები მაქვს მე.

§ 2.

ნაწილების მეთაურებმა გამოგზავნონ მეხაზეები და გამოიყენონ პარადზე ჯარები დამტკიცებული რაოდენობით და დადგენილ დროს.

ტანსაცმლის ფორმა — საზაფხულო, სამწყობრო სპპარადო.

§ 3.

სასალუტო-საარტილერიო ჯგუფის უფროსმა, პოდპოლკოვნიკმა ა. ნ. ეუკმა მისცეს საარტილერიო სალუტი ჩემი მითითების შესაბამისად.

§ 4.

გარნიზონის ჯარების დაწყობის და მათი ჩავლის დროს რუსთაველის პროსპექტსა და რესპუბლიკის მოედანზე წესრიგის დაცვის საერთო ხელმძღვანელობას ვაკისრებ თბილისის გარნიზონის სამხედრო კომენდანტს, პოდპოლკოვნიკ ა. ნ. ჩუთლაშვილს.

თბილისის გარნიზონის უფროსი — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სარდლის პირველი მოადგილე, გენერალ-ლეიტენანტი ა. მაკაროვი.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.